წიგნ. 9936.

ეშმაკის მათრახი

ფასი 50 მ.

№ 47

1920 წ. ოქტომბრის 31

184

აღმოსავლეთის ვარსკვლავი



იმ დროს, როდესაც ბაქოში მოწვეული აღმოსავლეთის „სოციალისტთა“ კრება დაიხურა და დელეგატებს ნაქურდალი ნახები ჩამოართვეს, აღმოსავლეთის ჰორიზონტზე გამოჩნდა ხუთ თავიანი ვარსკვლავი.

ბაქოელმა მოგვებმა ჯირქვე დაემხნენ და თაყვანი სცეს ამ საგანგებო მოვლენას და უწოდეს მას „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“.

9936.

სიცილი

პირველად რომ თვალი გაახილეს ქვეყანაზე ადამმა და ევამ, სახეზე ორთავეს განცვიფრების, სიამისა და აღტაცების ღიმილი აღებექდა.

ეს იყო ერთად ერთი შემთხვევა—პირველი და უკანასკნელი, რომელიც შემდეგ არასოდეს გამეორებულა—როდესაც ადამიანი გაჩნდა ქვეყნათ არა მტირალი, არამედ მღიმარი.

ყველაფერი შვენიერი იყო მათთვის:

ლამაზი მეუღლე. თვალწარმტაცი წალკოტი. კეთილშეზავებული ჰაერი. გემრიელი ხილი.

ყოველსავე სურვილს თვალის დახამხამებაში ისრულებდენ და რა იყო მწუხარება, ტანჯვა, ნაღველი—არ იცოდნენ.

შვენიერი იყო მათი ღიმილი პირველად, სრული ნეტარებისა და განცხრომის გამომხატველი.

შემოქმედი თვალს არ აშორებდა მათ და თავის ქმნილებათა გვირგვინათ სთვლიდა.

—სრულნი არიან!—ამბობდა მათთვის კმაყოფილი ოსტატი...

მაგრამ ხანი გადიოდა და ადამისა და ევას სახეზე თანდათან რაღაც უცნაური ცვლილება მჟღავნდებოდა.

მათი ღიმილი დღითი დღე ჰკარგავდა წინანდელ იერსა და სიცხოველეს, როგორღაც ბრტყელდებოდა და იყინებოდა პირზე და ბოლოს ისე გაქვავდა ზედ, რომ ოდესღაც შვენიერი სახეები, შინაგანი შუქით ანთებული და ამეტყველებული, უძრავ ნიღაბებს დაემსგავსა.

—რა მოუვიდათ?—ჰფიქრობდა შემოქმედი და ველარც კი უყურებდა სახეზე, ისე უშნო და საზიზღარნი გახდნენ მისი საუკეთესო ქმნილებანი.

—აქ აღარ არის ამათი ადგილი!—გადასწყვიტა შემოქმედმა, საბოლოოდ რომ გული აუცრუვდა მათზე და გააძევა ორივე ედემიდან.

დამცირებულმა და შეურაცყოფილმა ადამიანებმა დასტოვეს ბჭენი სამოთხისანი, პირისპირ დადგნენ უცნაური მომავალის წინაშე და მათი არსება უმწეობისა და შიშის გრძნობამ შეიპყრო.

უბედურებამ, ზრუნვამ და სიკვდილის შიშმა ერთბაშათ წაშალა მათ სახეზე ის უძრავი და უმეტყველო ღიმილი და სამაგიეროთ ტანჯვისა და მწუხარების ბეჭედი დაასვა.

დიდხანს იდგნენ უხმოთ სამუდამოთ დახშულ კარებთან თავზარდაცემულნი და გულ-დამდუღრულნი.

უცებ ევას რაღაც უცნაურმა სითბომ მოუწურა და შეუკუმშა გული და მთელს სხეულში დაუარა, შემდეგ იგივე სითბო ყელში მოაწვა მორგვივით, დაურღვია და აურია სახის კუნთები, აუკანკალა ნიკაპი და თვალებში წასკდა თბილ ნაკადათ.

და დედამიწას პირველად ეპკურა ტანჯული ადამიანის ცრემლები.

—წავიდეთ!—უბრძანა ადამმა ისეთი ხმით, თითქოს ეს სიტყვა კბილებში გასცრაო.

და პირველი ადამიანები გაუდგენ ტანჯვით აღსავსე ცხოვრების გზას...

ეს იყო და ეს.

მას შემდეგ ღიმი აღარ მიჰკარებია მათ ტუჩებს და ნიადაგ ტანჯვასა და არსებობისათვის ბრძოლაში ჩაბმული ადამ და ევა სამუდამოთ გადაეჩვიენ სიცილს.

ისე ცხოველი იყო წარსული ნეტარების მოგონება და ისე მძაფრი—აწმყო, ულმობელი სინამდვილე, რომ არავითარ წუთიერ სიხარულს არ შეეძლო მათი მგლოვიარე გულის გამხიარულება და ტანჯვის მეტყველი სახის ღიმილით გაშუქება.

დრო მიდიოდა და ყოველ-დღე ახალ-ახალ საფრთხეს, გასაჭირსა და მწუხარებას უმზადებდა ილაჯ-გაწყვეტილ ადამიანებს.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი და საზარელი უბედურება თურმე წინ ჰქონდათ კიდევ:

ადამისა და ევას უფროსმა შვილმა, ბოროტმა კაენმა, მოჰკლა თავისი ძმა, უწყინარი აბელი.

განუსაზღვრელი მწუხარებით სასოწარკვეთილი მშობლები საზარელი ბღავილით და ღრიალით გაექანენ კაენისაკენ და გონება-მიხდილებივით იმეორებდენ გმინვით ერთსა და იმავე სიტყვებს:

—რა ჰქენ, შე წყეულო! რა ჰქენ, შე წყეულო!..

კაენი იჯდა მიწაზე ფეხ-მორთხმული და ხელში ის კეტი ეჭირა, რომლითაც აბელი მოჰკლა.

როდესაც ადამ და ევა მიუახლოვდენ კაენს, ძმის მკვლელი ზეზე წამოვარდა და კეტი მოიმარჯვა, სახე არეული ჰქონდა მძვინვარებისაგან და მის თვალებში საზარელი მკვლელი იცქირებოდა.

ადამსა და ევას ხმა ჩაუწყდათ და ორივე კანკალმა აიტანა, ისე საშიშარი იყო კაენი.

უხმოთ გაბრუნდენ უკან და საყვარელი შვილის გაციებულ გვამს ჩაეკრენ.

კაენი კი იდგა ისევ იმგვარათ, ხელში კეტმომარჯვებული და მხეცივით იცქირებოდა სივრცეში.

მას შემდეგ ადამ და ევა ველარ ჰბედავდენ კაენის სიახლოვეს გავლას.

მხოლოდ პატარა სეითი, კაენის უმცროსი ძმა მიდიოდა ხშირათ მასთან და დიდხანს უცქეროდა ხოლმე ცნობის მოყვარეობით სახეში.

ერთხელ, როდესაც სეითი ჩვეულებისამებრ მივიდა კაენთან და დაუწყო ყურება დაუხამხამებლათ, კაენმა ველარ მოითმინა და მოწყვეტით მიტრიალდა მისკენ.

—რას მომჩერებიხარ? დაიკარგე აქედან!—დაუყვირა მან პატარა ძმას.

სეითმა არა უპასუხა-რა, ისევ ისე უძრავათ იდგა მიშტერებოდა თვალებში.

— დაიკარგე-მეთქი! არ გეყურება? — დაიღრიალა კაენმა.

— შენ რათ დაადუმე აბელი?—ნელისა და წყნარის ხმით ჰკითხა სეითმა და კიდევ უფრო თვალდასმით ჩაჰხედა თვალებში.

კაენს ტუჩები აუთრთოლდა ბრაზისაგან.

— წაეთრიე აქედან, თორემ შენც დაგადუმებ!—ყრუ ხმით წარმოსთქვა მან და კბილები დააკრაჭუნა.

— დამადუმე, რა!—მშვიდათ უთხრა სეითმა თვალ-მოუშორებლივ.

კაენი გაფითრდა, ხელი კეტს დაავლო და მის თვალებში იმავ საზარელმა მევლელმა გამოიჭვრიტა.

— აჰა, თუ არა!—დაიბღავლა მან და მოუქნია კეტი.

ერთი თვალის დახამხამება და პატარა სეითი უსულოდ დაეცემოდა მიწაზე.

მაგრამ მოქნეული კეტი ჰაერში გაიყინა, გაშტერებულმა კაენმა ერთი ნაბიჯი გადასდგა სეითისაკენ და გაქვავებულივით მიაჩერდა მას.

კაენს არასოდეს ენახა ის საოცარი გამომეტყველება, სეითს რომ აღებეჭდა იმ წუთში სახეზე: წყიხავდ.

გაოცემულმა კაენმა სახე სახესთან [illegible] და თვალი თვალში გაუყარა მას.

— ხა—ხა.—ხა—ხა—ხა!—გაისმა უეცრად სეითის კისკისა ხმა.

სეითი იცინოდა.

მოღერებული კეტი ნელა დაეშვა ძირს და ხელში გაუვარდა განცვიფრებულ კაენს, ბრაზის მაგიერ სახეზე შიში აუმეტყველდა, ერთბაშათ დაემხო მიწაზე პირ-ჩაღმა და დიდხანს ეგდო ისე უძრავათ. ოხრავდა და გმინავდა მხოლოდ.

ბოლოს მხრები რაღაც უცნაურათ შეუთამაშდა და გულის სიღრმიდან საშინელი ზლუქუნი აღმოხდა.

კაენი ატირდა.

მაშინ სეითმა მიირბინა, დაეცა მის გვერდით მიწაზე, ხელები ყელზე მოჰხვია და თავადაც ატირდა.

— ჩემი ძმა! საბრალო ჩემი ძმა! ჩემი კაენი! —სტიროდა სეითი და ნაზად ჰკოცნიდა მას.

მაგრამ სეითის ტირილს კაენის გულ-ამოსკვნილი ზლუქუნი ჰფარავდა.

თაგუნა.

გარრიკადები

ღამეს ფერი წაუხდა: გარიჟრაჟდა, გათენდა.
რუსთაველის პროსპექტზე როკვენ ბარრიკადები.
მწველ შუადღის სიმკვირცხლე ნაზმა სევდამ დათენთა
და... ზეციდან სცვივიან ინვალიდი კატები.

—

ტიციანემ იშიშვლა ხმალი მამა-პაპური.
ბრძოლა არის სასტიკი: შურმა გული დახუთა.
ვარამს წყალი მოსწყურდა: ალიმ შესვა „კახური“
და... ბარიკადს გადაღმა იღიმება მარუთა.

—

მწყერი ქორს შეეჯიბრა, ჩხიკვი — ბულბულს, ყვავი — ორბს.
სილამაზის დედოფალს ავი სენი შეჰყარეს;
ჯოჯო ყვირის: „ლომი ვარ!“ ქუჩუმელა ყვავილობს
და... ტაძარში ლოცვის დროს ყრუ გიჟები შეჰყარეს.

აიშალა სამოთხე... ვინ იცინის, ვინ ოცბს...
ბრძენ კაცს თავი ამძიმებს. ჩერჩეტი ფეხ-მალია.
უსახლ-კარო ზრდილობა ვირის ჩლიქში ბინაობს
და... საბრალო სირცხვილმა საწამლავი დალია.

—

დამავიწყდა: სინდისი კაცისგან რას ითხოვდა.
დიდი გრიგოლ ზმორებით საპნის ბუშტში ბანაობს.
მეტიჩრობა ამ დილით ტრაბახობას მისთხოვდა
და... ბრმა სახრჩობელაზე თვით პაიკლო ქანაობს.

—

ჩვენი დედა-ქალაქი დღეს არაყით მთვრალია.
რუსთაველის პროსპექტზე როკვენ ბარრიკადები.
შეშლილ მთვარის დეენაში მზემა სული დალია
და... ზეციდან სცვივიან ინვალიდი კატები.

d.

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობით, თფილისის შავ-მუშა ცხენებს (და არა იმათ, რომელნიც მადამ ხელობის ჰირებს დაატარებენ) ვრცელი მემორანდუმი წარუდგენიათ ქალაქის მოურავისათვის, რომელშიაც აღნიშნავენ თავისს უმწეო მდგომარეობას ვერის აღმართზე ტვირთის ამოტანის დროს.

ქალაქის მოურავს დიდის თანაგრძნობით მიუღია დეპუტაცია და აღუთქვამს მემორანდუმის საბჭოსათვის გადაცემა.

გოლგოთა

ორივე საშინლად გამხდარი, პირდაპირ ძვალტყავათ ქცეული და ქანც მილეული იყვნენ.

— აი, მეგობარო ვერის ხიდიც!

მწუხარე კილოთი უთხრა „ვასკამ“ „კოლიას“ და მძიმეთ, ისე მძიმეთ ამოიხვნეშა, თითქო გულიც თან ამოატანაო.

— რა ვქნათ, რა გვეშველება!

სასოწარკვეთილებით მიუგო „კოლიამ“ და ნაღვლიანათ გადაჰხედა მეგობარს.

— გუშინდელზე უარესი დღე მოგველის. ხედავ გზა მოლიპულია. ღონემაც რომ გაგვიძლოს ფეხს ვერ მოვიკიდებთ. წარმოსთქვა „ვასკამ“.

— ნუ თუ ამოდენა ქალაქში ერთი ღვთისნიერი კაცი არ არის, რომ ჩვენს ტანჯვას შეხედოს და გულშემატკივრობა გამოიჩინოს!

— არა ჩემო კარგო, ჩვენთვის ვისღა სცალია, ყველა თავის თავზე ფიქრობს და ზრუნავს. ღმერთო ჩემო, აი ხიდიც თავდება!..

— თუ გაგვიჭირდეს ნუ გავსწევთ!

— ნუ გავსწევთ და ხედავ იმ სახრეს? მაგ ულმერთომ შიგ სახეში იცის ცემა, თითქო სხვა ადგილი არ იყოს დასარტყამათ.

— ოჰ რა მხეცები არიან, რა მხეცები.

ფურგონზე, რომელსაც „ვასკა“ და „კოლია“ დიდის გაჭირვებით მიაგორებდენ, ნახევარი საჟენი შეშა ეწყო. შავ წვერა, წვრილ თვალებიანი მეფურგონე მოზრდილი სახრით ხელში ფურგონის წინა მხარეს იყო ჩამომჯდარი და დროგამოშვებით ხან ერთს, ხან მეორე ცხენს მაგრათ გადაუჭერდა ხოლმე სახრეს ტყავგადაკრულ გვერდის ძვლებზე.

ვიდრე ვაკე გზა ჰქონდათ „ვასკა“ და „კოლია“ თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიაგორებდენ მძიმე ფურგონს, მაგრამ აი დაიწყო ვერის აღმართი და უკვე გრძნობენ, რომ სიმძიმეს ვერ დასძლევენ.

არა ერთი და ორი საშინელი წამები ახსოვთ მათ ამ აღმართზე მოგზაურობიდან. ბევრი თავის თავზე გამოუცდიათ, უფრო ხშირად მოწამე ყოფილან მოძმეთა სასტიკი ტანჯვა წამებისა.

ახლაც მძიმე ფიქრებითა და მწარე მოლოდინით შეუდგენ მეგობრები ამ წამების აღმართს.

პირველი სახრის მოხვედრისათანავე უდიდესის თავგანწირულებით დასჯიმეს ძარღვები მეგობრებმა და ფურგონი რამოდენიმე საჟენზე გააგორეს, მაგრამ „კოლიას“ ფეხი აუსხლტა და წინა მუხლებით ქვაფენილს დაეხეთქა.

— პერიოდ, შე ვერანავ!

დასჟყივლა პატრონმა და თავგანწირულებით დაუშინა სახრე.

– წამოდექ როგორმე, ნუ გეშინია!.. გაამხნევა მეგობარი „ვასკამ“, მაგრამ მარტო ეს არ იყო საკმარისი. „კოლიას“ თითონაც ძლიერ უნდოდა ადგომა, მხოლოდ საამისოდ ღონე არ შესწევდა.

— ცოტას შევისვენებ, მეგობარო, და შემდეგ იქნებ წამოვდგე.—მიუგო „კოლიამ“.

— კარგია თუ კი დაისვენებდე, მაგრამ ეს უღმერთოები განა დაგასვენებენ?!. აი ტრამვაიც მოდის...

ტრამვაის ვაგონი ფურგონს მოადგა და გაჩერდა. ხალხი ტროტუარზე ჩამოვიდა და ფურგონს შემოეხვია.

— აბა ჩქარა! დაჰკა ადგება.. არიგებდა პატრონს ვატმანი და თითონ ლაგამით ღონემიხდილ კოლიას ზეზე ეწეოდა.

მილიციონერიც მობრძანდა.

— გამოუხსენით! ურჩევდა ერთი.

— რა დროს გამოხსნაა, სამსახურში გვიგვიანდება—შენიშნავდა მეორე.

— შეშინებული უნდა იყოს! ამბობდა მესამე.

— ცოტა დაასვენეთ, შემდეგ თითონ წამოდგება. დასძენდა მეოთხე.

ფურგონის პატრონი ყველას უჯეროდა: ხან გაშმაგებით უშენდა სახრეს, ხან გამოხსნას ეპირებოდა, ხან ყურებს უჭიმავდა და შუბლზე ხელებს უსვამდა, მაგრამ ამაოდ.

— დაგტანჯეს, ამხანაგო, ამდენი ცემით, არა? შეეკითხა თვალ-ცრემლიანი ვასკა თავის წამებულ ამხანაგს.

— არა უშავს. ახლა ავდგები, მგონია. ვცდი მაინც.

„კოლიამ“ წინა მარჯვენა ფეხი გამოიღო, იმას მეორეც მიაყოლა, თავგანწირულებით მოიწვართა, რამოდენიმეჯერ დაბარბაცდა, მაგრამ მაინც წამოდგა.

„ვასკამ“ თავი მიიბრუნა, უნდოდა მეგობრისთვის ეკოცნა, მაგრამ მოქნეული სახრე საშიშარის ძალით მოხვდა საფეთქელში და ალერსი გადაავიწყდა.

— ნეტავ რა დავუშავე ამ უღმერთოს! ჩაილაპარაკა მან და ღვედებს მიაწვა.

— ათიოდ ნაბიჯი კიდევ და მეტი აღარ შეიძლია! მრთოლვარე ხმით წასჩურჩულა მეგობარს „კოლიამ“.

— ღმერთი მოწყალეა, გულს ნუ გაიტეხ! გაამხნევა მეგობარმა მეგობარი.—სულ ასე ხომ არ იქნება ჩვენი ცხოვრება.

— მე გული საშინლათ მიცემს... ასე ცუდათ თავი არასოდეს არ მიგრძვნია... რაღაც საშიშარი მომელის!.. დაჟინებით განაგრძობდა „კოლია“.

ანანოვის სახლის დასწვრივ—ცხენები კვლავ დადგენ. ნესტოები დაებერათ, ფერდები სულ ჩაუცვივდათ და სულის თქმა შეეხუთათ.

პატრონი კვლავ სახრეს ეცა. აუწერელის სიმკაცრით სცემდა ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ცხენები თითქოს ველარ გრძნობენ ტკივილსაო, ადგილიდან აღარ იძროდენ. „კოლიამ“ თავი მიიბრუნა და მაღლობზე რაღაც უზარმაზარი შენობა დაინახა.

— ნეტავ რა უნდა იყოს ეს ამოდენა კოშკი? იკითხა მან მოკრძალებით.

— ამბობენ, ფოცხვერაშვილი რაღაცა გოლგოთას აშენებსო! მიუგო ამხანაგმა.

— პირველათ მესმის ასეთი სიტყვა.

— იმიტომ რომ ეს უცხო სიტყვაა. მე ასე გავიგე: გოლგოთა მთა ყოფილა. იმ მთაზე ჯვარს აცვეს ადამიანებმა თავიანთი ღმერთი, იესო ქრისტე.

— რატომ აცვეს, რა დააშავა?

— ეს არ ვიცი. მთის აღმართზე ჯვარი თურმე თითონ ქრისტეს აატანინეს თავის მხარზე და როცა წაიქცეოდა, სცემდენ... სცემდენ ისე, როგორც აი ჩვენ გვცემენ.

— საბრალო! მწუხარებით წარმოსთქვა „კოლიამ“ და გაშტერებით დააცქერდა ცაში აღმართულ ბოძებს.

— თავისი ღმერთი არ დაინდვეს, ჩვენ დაგვინდობენ?! აბა გავსწიოთ მეგობარო!

— არა, ჩემო კარგო, არა! ეს აღმართი ჩვენი გოლგოთა არის. მე ვიცი დღეს აქ ჩემი აღსასრულის ჟამმა მოაწია! ნეტავ ვისია ეს შეშა...

— შეშა მე ვიცი ვისია. გავიგონე ჩვენი მტანჯველი დღეს ელაპარაკებოდა საწყობის გამგეს:— კარგი შეშა აარჩიე ქალაქის გამგეობისთვის მიმაქვსო.

— უღმერთოები! განა ვერ ხედავენ რა დღეში ვართ?

— აი ის თოფიანი კაცი, წელან რომ თოფის კონდახს გვცემდა იმათი დაყენებული მილიციონერია. ის რომ ღვთისნიერი ადამიანი იყოს ჩვენ რას უნდა გვერჩოდეს? რა ჩვენი ბრალია თუ ღონე არ შეგვწევს! რა დაგემართა? რატო ეგრე კანკალებ, მეგობარო?

— ცუდათ ვარ, ცუდათ ძმაო! ერთი სახრე კიდევ და წავიქცევი.

კანკალმა უმატა. „კოლიას“ თვალებზე რაღაც თეთრი ლიბრი გადაეფარა. უკანასკნელ სახრეებს ველარ გაუძლო, დაბარბაცდა და წაიქცა.

წაქცეულმა ერთხელ კიდევ გადაჰხედა მაღლობზე ამართულ გოლგოთას, შემდეგ მეგობრისკენ მიიხედა და მილეულის ხმით წასჩურჩულა.

— მშვიდობით, უბედურო ძმაო, მშვიდობით!

ერთი საშინლათ ააცახცახა და ტანჯული სული საუკუნოთ განუტევა.

მორიელი.

—

P. S. ამ პატარა მოთხრობას წრფელის და კეთილის გულით ვუძღვნი ჩემს საყვარელ ქალაქის მოურავს ბენიამენ ჩხიკვიშვილს, მილიციის უფროსს ვალოდია სულაქველიძეს და ჩემს უფროს ამხანაგს ეშმაკს. ვუძღვნი აგრეთვე ყველა იმ მოქალაქეებს, რომელნიც მუდამ დღე მოწამენი არიან განსვენებული „კოლიას“ მეგობართა ტანჯვა წამების. პატივისცემით ვუძღვნი აგრეთვე თბილისის ქალაქის ხმოსნებს და ვსთხოვ, თანახმად განსვენებულის სურვილისა, „ვერის ალმართს“ სახელი შეუცვალონ და „ცხენების გოლგოთა“ დაარქვან.

მ—ლი

გოლშევიკი

... და მყობადი ჩემს თვალწინ წითლად აიფოთლება,
გიჟივით მიმაქროლებს წინ წითელი ზმანება;
მაგრამ მკაცრ სინამდვილემ დამახვია ყვითლები,
ყვითლებმა ფრთების გაშლა, რავქნა, არ დამანება.

—

სამშობლო დამეკიდა ფეხზე, როგორც ხუნდები,
საქართველო გაყვითლდა, როგორც რომ მოლაღური;
თვით წითელი თან და თან ყვითელთ შორის ვხუნდები.
სულ ყოველგან მაგემეს ნიახური, პანღური.

—

მახრჩობს ბრაზი — და რისხვით ავიჩეხები ხშირად,
საშინელი ბოღმისგან მთვრალი მე შევიქნები.
მინდა დავსწვა სამშობლო, მსურს ვაქციო ნახშირად,
რომ თვის ბედს იწყევლიდენ მარად მენშევიკები...

—

ავაფეთქო მსურს... მაგრამ... ოჰ, ეს მკაცრი პროფილი,
დაიმსხვრევა ოცნება... ვამბობ: აწ რა მიშველის.
ჩემს წინ ზანტად ამთქნარებს პირქუში საპყრობილე,
და თვალწინ გამიელვებს ლანდი მკაცრ რამიშვილის.

—

ვით აჩრდილი საზარი მდევნის მე მუდამ ნოე,
დედინაცვალ სამშობლოს კარი დაუკეტია...
ლამის მოვწყდე ამ სოფელს, გავხდე მეუდაბნოე...
რავქნა, რაც განვიზრახე... ფაჩულია... კედია...

—

თუმც მყობადი ჩემს თვალწინ წითლად აიფოთლება,
თუმც გიჟივით მიმაფრენს წინ წითელი ზმანება.
ეჰ, ოცნება მემტვრევა, როგორც კლდეზე ბოთლები,
ყვითლებმა ფრთების გაშლა, რავქნა, არ დამანება.

ილაუ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას

ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" თანამშრომლის, ქალაქ თბილისის მცხოვრების, თაგუნას

თხოვნა

მართალია, ამ ჟამად სამუშაო მაქვს („ეშმაკის მათრახის" თანამშრომელი გახლავარ) და ლუკმა-პურს ვშოულობ, მაგრამ ვინაიდან შესაძლოა, რომ როდისმე ჩვენი ჟურნალის არსებობა შეწყდეს და მე უსაქმოდ დავრჩე, ამიტომ გთხოვთ ყურად იღოთ ეს ჩემი უმორჩილესი თხოვნა.

ყოველი ადამიანი ცდილობს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, რომ მისი არსებობა რაც შეიძლება ხანგრძლივათ იყოს უზრუნველყოფილი.

დღევანდელ მდგომარეობაში მე ვერ მომინახავს ისეთი დაწესებულება, რომელსაც ახლო თუ შორეულ მომავალში რაიმე საფრთხე არ მოელოდეს და აბსოლუტურათ მყარ ნიადაგზე იყოს დაფუძნებული.

სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ამ მხრივ ყველაზე არა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენენ, ვინაიდან დღეს თუ ხვალ, მოსალოდნელია ან შინაგანი „გადატრიალება" (ნუ დაივიწყებთ ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების ქადილსა და მუქარას), ან კიდევ გარეშე მტრების შემოსევა.

სხვა რაიმე სამსახური კიდევ უფრო საეჭვოა: ბანკები შეიძლება როდისმე გაკოტრდეს, კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონნი და ხელმძღვანელნი დაიხოცნენ, გაზეთები დაიხურონ...

ერთად ერთ გამონაკლისს წარმოადგენს თქვენდამი რწმუნებულ საზოგადოებასთან არსებული კომისიები, რომელთაც განსვენებული გოგებაშვილის საელმძღვანელოების გადაშინჯვა და შესწორება აქვს მინდობილი.

მე კარგათ მესმის, რომ ჩვენს წუთისოფელში არა არის რა სამარადისო და, ვინ იცის, იქნებ დროთა დაუსრულებლობაში ამ კომისიებსაც უწერია გაქრობა, მაგრამ ეს ხომ ცხადია, რომ მათი არსებობა დამოკიდებულია მათივე წევრების ნებასა და სურვილზე, ასე რომ სანამ წევრები, ღვთის მადლითა და განგებით, ცოცხალი იქნებიან, მანამ არც კომისიებსაც გაუჭირდებათ-რა.

ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ თქვენის კეთილის გულით ჩასწვდეთ ჩემს ოჯახურს მდგომარეობას (სამი ცოლი მყავს და შვიდი წვრილ-შვილი) და დამნიშნოთ ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიათაგანის წევრად იმ პირობებით, რა პირობებითაც სხვა წევრები მუშაობენ.

სიტყვას ვაძლევ პატივცემულ გამგეობას, რომ მე კარგათ ვიცი პროფესიონალური საიდუმლოს შენახვა და კორპორაციული ინტერესების დაცვა და რაკი აღნიშნულ კომისიის წევრათ დავინიშნები, თავ-გამოდებით ვიბრძოლებ ჩემისა და ჩემი ამხანაგების ინტერესებისათვის და კრინტსაც არ დავძრავ უცხოებთან იმის შესახებ, რაც საპროფესიო საიდუმლოებათ იქნება მიჩნეული.

პატივისცემით **თაგუნა.**

—

P. S. ამ თხოვნის პასუხს ველი მომავალ კვირამდე. უკეთუ არ მომივა, **უფრო დასაბუთებულ** თხოვნას წარვადგენ გამგეობაში „ეშმ. მათრ." საშუალებით.

თ—ნა.

სადგურზე

(შეგობრის ნაამბობი)

მოქალაქე. ფქვილი გახლავს ბატონო, ქალაქში მიმაქვს საკუთარი მამულიდან.

სად. უფროსი. რამდენი ფუთია!

მოქალაქე. ხუთმეტი.

სად. უფროსი. მოწმობა გვიბოძეთ.

მოქალაქე. ინებეთ!

სად. უფროსი. ეს ვისი მოცემულია?

მოქალაქე. თემის ბატონო.

სად. უფროსი. თემი ვინ არის! თემი რა მოხელეა? უკაცრავათ, მე არავითარ თემს არ ვიცნობ.

მოქალაქე. თემს ნება აქვს, ბატონო, მოწმობა მოგვცეს. აი თითონ გასინჯეთ.

სად. უფროსი. (კითხულობს) აქ ფქვილი არა სწერია... აქ ჭირნახული სწერია. არ შეიძლება, გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული. ფქვილი ხომ ჭირნახული არ არის...

მოქალაქე. მაშ რა არის, ბატონო! ფქვილი ჭირნახულია, მაშ რა არის, მაგრამ აი ფქვილიც სწერია...

სად. უფროსი. ფქვილიც სწერია, მაგრამ ეს დოკუმენტი არ ვარგა... ეს რა დოკუმენტია!.. ჩემთვის ისეთ დოკუმენტსა აქვს მნიშვნელობა, რომელზედაც ნოე ჟორდანია აწერს ხელს. ინებეთ და მოგვიტანეთ...

მოქალაქე. ახლა სად ვიშოვო, ბატონო, ნოე ჟორდანიას ხელ მოწერილი ქაღალდი. წინეთ რო მცოდნოდა... იქნებ მეშოვნა...

სპეკულიანტი. (მოქალაქეს განზე გასწვევს და ჩუმათ ეუბნება) თქვენ ჟორდანიას ხელ მოწერილი დოკუმენტი გინდათ?..

მოქალაქე. დიახ, ბატონო, დიახ!

სპეკულიანტი. აი ის დოკუმენტი, რომელიც თქვენ გჭირია... (იდუბის ხუთას მანეთიანს) აქ ჟორდანიას უწერია ხელი და სადგურის უფროსიც კმაყოფილი იქნება. თუ გინდათ, ექვსას მანეთად შემიძლია მოგყიდო.

მეექვთამე.

შექანჯალებულის ლექსები

ჰარალო, ბიჭო ჰარალო...
ზეცას დაულპა თვალები...
ხეები ყვითლად იცინის,
მიწას ჰფენს ფერმკრთალ ხალებით.

—

ჰარი ჰარალე, ჰარალე...
ტყე საცოდავათ შრიალებს...
ვით შეინახავს თფილისი
ამდენ ცუდ ოხერ ტიალებს.

—

შემოდგომაზე სოფლები
ტაბილ მაჭრით დაითენთება.
ცეცხლი უნავთოთ, უშეშოთ
ნეტავი თუ დაინთება.

—

მითხარ ეგვიტო, გუშინ წინ
როგორ მოხრაკე წიწილი...
უცეცხლოთ სადილს წვავ, ხარშავ...
მიტომ ამიტყდა სიცილი.

—

ავი ავის მეტს რას იზამს,
თუ კი ეს გულით ინება;
ბაქოს არ უნდა ჩვენსკენა
ნავთისა წარმოდინება.

—

უცეცხლოთ დაწვას გვიპირებს,
უნავთოთ ცეცხლის დანთებას.
ის ფიქრობს: მოგვკლას სიცივით
მიგვცეს სურდოს და ანთებას.

—

ბაქოჯან! ამ გზით შენ ჩვენში
„ცეცხლის დანთებას“ ნუ ფიქრობ.
არ გავწითლდებით არას გზით...
და ტყვილა ფარნებს რად გვიქრობ...

—

ქართველი რის ქართველია
თუ არ დასძლიოს ჭირია...
თუ ნავთს არ მოგვცემ, ბევრი გვაქვს
შეშა და ქვა-ნახშირია!..

—

ეკონომიურ თათბირზე
ცხვირში გავირჭვე შუბია...
წამოდი, აბა, დავხუროთ
ყველგან შანტანი, კლუბია...

—

შენ რომ ქეიფობ ყოველ დღე...
გიყვარს კლუბებში გართობა,—
მეც მიმიწვევდი ერთხელა...
აგია შენი ერთობა?!.

—

თხას ღმერთი რო გაუწყრება,
ხუთი რქა გამოესხმება...
ბაქო ჰყეფს განწირულივით,
შური ჰკლავს, თავ-ბრუ ესხმება.

ალ-ქაჯებს ღამის წყვდიადში
მუდამ სუფრა აქვს გაშლილი...
აკრძალეს ტკბილეულობა...
რითი ვარჩინო ცოლ-შვილი...

—

რა გაცინებს ცივო ქარო
უქკუო ხარ და ჩერჩეტი...
რავქნა, ვერ გამოვარკვიე
მე დღიური ბიუჯეტი...

ვიფიქრე: ქვეყნისა საქმის
ნეტავ რა გამოასწორებს...
ეჰ, რა გასწყვეტს ამდენ მგელსა,
ტურა-მელებს, სვავებს, ქორებს...

—

აწი საკანდიტროებში
ვინ იხილოს ტორტ-კულიჩი...
რა კარგია არაყს რო სვამს
ჩვენი ივან ივანიჩი.

შექანჯალებული.

საგარეო საქმეები.

რამ გ[illegible]ვ[illegible]აიძულა

იყო დრო... და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, გულ-ხელ დაკრეფილი თავუნა ღრმა ფიქრებს მისცემოდა და თვალი სივრცეში მიეპყრო.

— რაზე ფიქრობ მეგობარო?—ჰკითხა მას ეშმაკმა და მდიმარე თვალით გადახედა.

— ცუდათ არის ჩვენი საგარეო საქმეები, ძლიერ ცუდათ.

— შე კაი კაცო! მერე ამაზე რა გადარდებს?

— როგორ თუ რა!

— დიახაც სადარდელი არაფერია. უბედურება ის იქნებოდა კარგათ რომ ყოფილიყო.

— ვერაფერი გამიგია...

— აი გაიგე: წამხდარი საქმის გამოკეთება შეიძლება... ამის მოხელეს ჩვენ ბევრს ვიშოვით, მაგრამ წარმოიდგინე შენ ჩვენი უბედურება საქმე კარგათ რომ ყოფილიყო!..

— მართლაც ვის ვიშოვიდით ისეთს კარგი საქმე რომ გაეფუჭებია.

— რასაკვირველია ვერავის! მე დანამდვილებით ვიცი,— კარლო ჩხეიძე როცა დიდით თვალს გაახელს პირველ ყოვლისა გააფრთხილებს ამხანაგებს:—აბა მეგობრებო, სიფრთხილე, ვინძლო არაფერი გავაფუჭოთო.

— მაშ რა ქნათ?

— გამოვცვალოთ. მე პარიზში მეგულვება ორი ჩვენი ერთგული მუშაკი:

ნახ. გუდიაშვილისა

ნახ. შილიკოსი

შეგვიძლია მათ მივანდოთ საგარეო საქმეები, იმ პირობით კი, რომ ვრცელი ანგარიშები წარმოგვიდგინონ ყოველი თვის დამლევს.

მუსაიფი ამაზე შეჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაუყოვნებლივ ეცნობა შალიკოს: — მონახოს კარლო ჩხეიძე, ჩამოართვას მას საგარეო წარმომადგენლობა და შეუდგეს ამ მძიმე მოვალეობის ასრულებას.

შალიკოც ასე მოიქცა.

წარმომადგენლობის ჩაბარების შემდეგ „ეშმაკის მათრახის“ რწმუნებული პარიზის ქუჩებში გამოვიდა ბოლთის დასარტყამათ.

ხოლო დასკვნების შემდეგ თავისს სამხატვრო სახელოსნოს დაუბრუნდა და აღმშენებლობითი მუშაობას შეუდგა.

(შემდეგი იქნება)

ღრმაღელის კომისარი

სადაც მე ვერ კომისრად
ის უბანი მშვენდება:
ნგრევით ბევრი ინგრევა*)
შენებით,— არ შენდება.
ყურადღებას არ ვაქცევ
კანონს, დადგენილებას,
მე ვასრულებ როგორც მსურს
ჩემს სურვილსა და ნებას.
სამართალი მისკენ მაქვს,
ვისი ჯიქაც დიდია,
სოფელი თუნდ დაინგრეს,
ფეხებზედაც მკიდია.
მცხოვრებლებსა, ვით ცხვარსა
სადაც მსურს იქ გავრეკავ.
მე ვწირავ ჩემებურად,
ზარსაც ისე დავრეკავ.
უპატრონო სოფელსა
დღეს მე ვეპატრონები,
აქ ოთხნი ვართ ბატონნი,
დანარჩენი მონები!
ვისთან წავლენ საჩივრად
არ იციან გზა კვალი,
თუ მომმართვენ ისევ მე...
ხელში მაქვს სამართალი.
თუ მთვრალი ვარ ვინ მკადრებს
სიტყვას უკმეხს შიშითა!..
მეც კომისრად ვითვლები
წესით ანგარიშითა.
სადაც მე ვარ კომისრად,
ის მიდამო მშვენდება.
საქართველოს ოჯახი
მალე აუშენდება.

ან. განჯისკაელი.

*) ღრმა-ღელეში ახალ მოდის სპეკულიანტები ყიდულობენ სახლებს და რადგან მასალა ძვირია ანგრევენ მშვენიერ შენობებს და მასალად ჰყიდიან, რომელშიაც აუარებელ ფულს იგებენ. ამ საქმეში ენერგიულათ მუშაობს, ჩვენი კომისარიც.

განჯისკარელი.

საბჭოთა რუსეთში

წვრილი და მსხვილი

საგანგებო კომუნისტი. შეხედე, მეგობარო, ეს „ვაუბატონი როგორ გასუქებულა. ალბათ ჩვენი სისხლით იკვებება. სიკვდილი მაგს!

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი იმ ცოტად თუ ბევრად აღშფოთებული კილოს შესახებ, რომელიც ჩემდა უნებურათ შეიძლება თან დაჰყვეს ამ ჩემს პატარა წერილს.

პატივცემულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ 44 ნომერში მოთავსებულია „პატარა ფელეტონი“ ამხ. ეშმაკისა.

ფელეტონში მოთხრობილია ამბავი მუშათა კლუბში მილიციონერებთან შეტაკებისა და უნდა გამოვტყდე, მოთხრობილია გასაშტერებელის მიდგომათ და მიკერძებით.

ღმერთი, რჯული არავითარი მეტიჩრობა და განდიდების სურვილი მე არ მალაპარაკებს საზოგადოთ და არც მით უმეტეს ამ შემთხვევაში, მაგრამ მეც ადამიანის გული მაქვს და მეწყინება როცა სრულიად უდანაშაულოდ დამჩაგრავენ.

დიდი პატივი და მორიდება, მაგრამ ამხანაგ ეშმაკს სჩვევია ერთი მიუტევებელი ზნე... ზნე სხვათა დამსახურების მითვისებისა. უკეთუ თქვენი რედაქცია კოლეგიალური დაწესებულება არის, მაშინ ეშმაკს არ უნდა ჰქონდეს უფლება დანარჩენი წევრები რედაქციისა შეცდომაში შეიყვანოს და ჟურნალი მხოლოდ თავისი ავტორიტეტის გასაზრდელათ გამოიყენოს. ეს კი სწორეთ ასე ხდება და ამ ჩემს სიტყვებს ნათლად ასაბუთებს ზემოხსენებული „პატარა ფელეტონი“.

პირველ ყოვლისა აღვნიშნავ, რომ იმ ვახშამს, რომელიც შეადგენს ფელეტონის დედა ძარღვს, ამხ. ეშმაკი სრულიადაც არ დასწრებია. თუ არ ვცდები არც სამსონ დობორჯგინიძე.

ამას კიდევ შეურიგდებოდა ადამიანი, რომ ამხ. ეშმაკის განდიდების სურვილი მარტო ამით თავდებოდეს. ეს მხოლოდ ყვავილებია და ნაყოფი კი ქვემოთ იხილეთ:

„ხმა შე უბადრუკო! დავსძახე მე (მოგვითხრობს ამხ. ეშმაკი) ვინ არის შენი უფროსი?

საგანგებო კომუნისტი. ერთი ამას დამიხედე, ამხანაგო! ეს თუ კარგი კაცია რატომ არის ასე გამხდარი, ალბათ ჩვენ სსწინააღმდეგოთ ფიქრობს დღიან დამიანათ. სიკვდილი მაგას!

ჩვენი უფროსი ჩვენა ვართ. ჩვენი ნებაა ყველაფერი! თუ მოგვესურვება თქვენცა და თქვენს უფროსსაც ხვალვე გამოვსცვლით და სხვას დავაყენებთ“.

ამხანაგებო! ეს სიტყვები მე მეკუთვნის. რა უფლება ჰქონდა ამხ. ეშმაკს, თუ ის მართლა ამხანაგია. სხვისი სიტყვები თავისათ გაესაღ.ია და მით საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა? რა სახელი უნდა ვუწოდოთ ასეთ საქციელს პასუხსაგებ პოსტზე მყოფ ამხანაგისას? მე აღარაფერს ვიტყვი, დე, თვით მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი.

მე მხოლოდ გამოვსთქვამ იმედს, რომ „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა მომავალში არ გამეორდეს ასეთი მიუტევებელი ამბავი.

პატივისცემით **ჩხენკელი.**

რედაქციისაგან. ზემოაღნიშნულმა წერილმა ჩვენს რედაქციაში დიდი სენსაცია მოახდინა. რედაქციის წევრ ამხ. ეშმაკზე. კარგა ხანია ასეთი ეჭვები გვქონდა, მაგრამ ვერ დაგვემტკიცებია, სწორეთ ისე, როგორც ოთხ ჩვენ ნაცნობ დეპარტამენტის დირეკტორებზე, რომლებსაც..

დღეს ეშმაკის ოინბაზობათა კვალს თითქოს მივაგენით და მყისვე ვაფრინეთ კაცი აკაკი ჩხენკელთან საქმის დაწვრილებით გამოსარკვევათ.

პატივცემული მოლვაწე გადაჭრით უარყოფს ზემოაღნიშნულ წერილის ავტორობას და ამტკიცებს, რომ ინცინდენტის დროს ის აჭარაში მოგზაურობდა.

რედაქცია მძიმე საგონებელში ჩავარდა, ვინაიდან ვერ გამოურკვევია წერილის ავტორის ვინაობა. მიღებულია ყოველგვარი ზომები და თუ ყველაფერი ის, რაც ამხ. ჩხენკელის წერილში სწერია სიმართლეა, რედაქცია სასტიკ ზომებს მიიღებს ამხანაგი ეშმაკის წინააღმდეგ.

საპნის ბუშტები

(„ბარიკადის“ გმირეს).

„ბარიკადებზე“ დგანან მუშტებით
პავლო, გრიგოლი, მათთან ტიციან,
სცლიან ყუმბარებს საპნის ბუშტების
და ვის ებრძვიან—თვით არ იციან.
რა სურთ ამ ვაჟებს, ქუჩის ბრექიებს,
რომ ტრაბახობით წაიღეს ყური?!.
არ მოგაგონებთ „ნაცარქექიებს“
მათი მუქარა, მათი ფაფხური?..

ვაშა, ვაჟებო! თქვენს რაინდობას
შთამომავლობა არ დაივიწყებს;
დღეს თუ უცხადებს ძველთ მაინც ნდობას,
ხვალ სამუდამოთ გადაივიწყებს.
მაშ ააჩქეფეთ გრძნობის ფანტანი,
ქუჩა მოჰფინეთ ვნების ვარდებით
და გაახარეთ კაფე-შანტანი,
ვიდრე მოდიდან გადავარდებით!

ხუმარა.



„სტამბოლის დანახება“



საბჭოთა რუსეთი და საბჭოთა ოსმალეთი ცდილობენ სომხეთს „სტამბოლი დანახონ“.

საქართველოს სახალხო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია